რომ ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) როცა ყოველ საღამოს თავის საწოლში წვებოდა, მიადებდა ხელისგულებს ერთმანეთზე, შემდეგ დაანერწყვებდა მათში და კითხულობდა: სურა ალ-იხლას, სურა ალ-ფალაყს და სურა ან-ნას

გადმოცემულია აიშასაგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი): რომ ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) როცა ყოველ საღამოს თავის საწოლში წვებოდა, მიადებდა ხელისგულებს ერთმანეთზე, შემდეგ დაანერწყვებდა მათში და კითხულობდა: სურა ალ-იხლას, სურა ალ-ფალაყს და სურა ან-ნას. შემდეგ გადაისმევდა ხელებს მას მთელ სხეულზე, რამდენადაც შეეძლო, დაწყებული თავიდან, სახიდან და სხეულის წინა ნაწილიდან. ამას აკეთებდა სამჯერ.

მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ჩვეულებიდან იყო, როცა ძილისთვის საწოლში წვებოდა, აერთებდა ხელისგულებს, როგორც ეს ხდება ვედრების დროს, ჩაბერავდა მათში ცოტა ნერწყვთან ერთად და კითხულობდა სამ სურას:(სურა ალ-იხლას), (სურა ალ-ფალაყს) და (სურა ან-ნაას). შემდეგ ხელის გულებით მოისმევდა სხეულის ნაწილებს, რამდენადაც შეეძლო, დაწყებული თავიდან, სახიდან და სხეულის წინა ნაწილიდან. ამას იმეორებდა სამჯერ.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/65060

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee